საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ჩხაიძე – კოლეგიის წევრი

თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. თ.

წარმომადგენელი: ნ. გ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.11.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №157/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ბ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ბ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 06 ნოემბერს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. თ.მ ადვოკატ მ. ბ.-ის წინააღმდეგ. 2018 წლის 14 დეკემბერს საპროცესო სხდომაზე საჩივრის ავტორმა წარმომადგენელთან, ნ. გ.-სთან ერთად მხარი დაუჭირა საჩივარში მითითებულ პრეტენზიებს.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისმა მეუღლემ გ. თ.-მ მემკვიდრეობით მიიღო თბილისში, ათონელის ქ. #3 მდებარე საცხოვრებელი ბინის 1/3 - სხვენი და სარდაფი, ხოლო ბინის 1/3 შეისყიდეს. აღნიშნული ქონება, საქორწინო ხელშეკრულების მიხედვით წარმოადგენდა მათ თანასაკუთრებას, თუმცა ის გაფორმებული იყო მ. თ.-ის მეუღლის, გ. თ.ს სახელზე. მოგვიანებით, გ. თ.-მ ქონება გადაუფორმა ი. ფ.-ს, რაც ამ უკანასკნელმა მოტყუებით განახორციელა. საჩივრის ავტორმა, თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი ი. ფ.-ისა და გ. თ.ს მიმართ.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლოში მიმდინარეობს ორი დავა, სადაც ერთ საქმეში თავად არის მოსარჩელე, ხოლო მეორე დავაში მოსარჩელეა მისი მეუღლე. ორივე დავაში მოპასუხე მხარეების ინტერესებს წარმოადგენს ადვოკატი მ. ბ., რომელიც იქცევა ძალიან უხეშად და ხშირად აყენებს შეურაცხყოფებს საჩივრის ავტორს. ადვოკატი ყურადღებას ამახვილებს მის ეროვნებაზე, ვინაიდან ის და მისი მეუღლე არიან ებრაელები და ცდილობს ეროვნების ნიშნით მათ დამცირებას.

1.4 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მ. ბ.-ს შეხვდა ორ სასამართლო პროცესზე და ორივე სხდომაზე ადვოკატმა მიაყენა შეურაცხყოფა მას. მ. თ. პირველად მ. ბ.-ს შეხვდა სხდომის დარბაზში, ადვოკატმა მას დანახვისთანავე მიმართა შემდეგი სიტყვებით: „ჩამოეთრევიან და წესრიგს გვიმყარებენ აქ...“. საჩივრის ავტორი ადვოკატს მეორედ 2018 წლის 23 ოქტომბერს შეხვდა, როდესაც ადვოკატ ნ. გ.-სთან ერთად მივიდა სასამართლო პროცესზე. აღნიშნულ პროცესზე, განიხილებოდა გ. თ.ს სარჩელი, სადაც მ. ბ. წარმოადგენდა მოპასუხე მხარეების ინტერესებს. მ. ბ., მ. თ.-ის და მისი ადვოკატის დანახვაზე თავდაპირველად გაოცდა, ხოლო მას შემდეგ რაც სხდომის მდივანს მიაწოდეს მინდობილობები გაბრაზდა და დაიწყო შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართვა. ადვოკატმა მ. ბ.-მ ადვოკატ ნ. გ.-ს მიმართა, რომ ის იცავს თაღლითებს და თავადაც ასეთივე თაღლითია. ნ. გ.-მ მ. ბ.-ს კორექტულობისკენ მოუწოდა და შეახსენა, რომ მართებდა ადვოკატის პროფესიული ეთიკის დაცვა. რის შემდეგაც, მ. ბ.-მ თავი იმართლა და უთხრა, რომ წინამდებარე სიტყვები მ. თ.-ის მიმართ წარმოთქვა, რომ მ. თ. და მისი მეუღლე არიან თაღლითები, რასაც მოჰყვა შემდეგი ფრაზები: „...ჩამოდიან და აქ თავიაანთი ზეგავლენით უნდათ წესრიგი დაამყარონ“; „...ჩამოეთრევით და თქვენებური წესრიგი გინდათ შეიტანოთ“.

2. საჩივრის ავტორის მოწმის გ. ფ.-ის განმარტება:

2.1 2019 წლის 18 თებერვალს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გ. ფ.-მ განმარტა, რომ იმყოფებოდა სასამართლოს დარბაზში, რა დროსაც მ. თ.-ის და მისი წარმომადგენლის სასამართლო პროცესზე შემოსვლამ გამოიწვია მ. ბ.-ის გაღიზიანება. მ. ბ.-მ მათ მიმართა შემდეგი სიტყვებით: „ამათ აქ რაუნდათ“. მოწმის განმარტებით, მ. თ. არის ისრაელის შეიარაღებული ძალების პენსიაზე გასული ოფიცერი და სწორედ აღნიშნულზე დამცინავად ამახვილებდნენ ყურადღებას მ. ბ. და მისი მარწმუნებელი, კერძოდ: „გენერალი ჩამოვიდა“; „გენერალი სიმუსი“.

2.2 მოწმის განმარტებით, სასამართლო პროცესის დაწყებამდე, მ. ბ.-მ ადვოკატ ნ. გ.-ის მისამართით წარმოთქვა შემდეგი ფრაზა: „თაღლითებს იცავენ ეს ადვოკატები“. ნ. გ.-მ მ. ბ.-ს მოუწოდა პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვისკენ, რასთან მიმართებაშიც მ. ბ.-მ განმარტა, რომ მხარეებს გულისხმობდა. მოწმის განმარტებით, მ. ბ.-მ მ. თ.-ს, სასამართლო პროცესის დაწყებამდე მიმართა შეურაცხმყოფელი ფრაზით, კერძოდ: „ჩამოეთრევით ეს ებრაელები და საკუთარი წესრიგის დამყარება გინდათ“. საპასუხოდ მ. თ.-მ, ანტისემიტური განცხადებებისგან თავის შეკავება მოსთხოვა მ. ბ.-ს.

3. საჩივრის ავტორის მოწმის ლ. გ.-ის განმარტება:

2019 წლის 18 თებერვალს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ლ. გ.-მ განმარტა, რომ გ. თ.ს ოჯახთან ახლო ურთიერთობაში იმყოფება, შესაბამისად იცის როგორ მიმდინარეობს

სამართლო პროცესები. თავად ლ. გ. სასამართლო პროცესებს არ ესწრებოდა და შეურაცხყოფის ფაქტის შესახებ გ. თ.სგან და ადვოკატისგან გაიგო.

4. საჩივრის ავტორის მოწმის გ. თ. განმარტება:

2019 წლის 18 თებერვალს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გ. თ.-მ განმარტა, რომ მ. თ. არის მისი მეუღლე და პროცესზე მოწმედ იყო წარმოდგენილი, როდესაც შეურაცხყოფა მიაყენა მ. ბ.-მ თავდაპირველად ნ. გ.-ს, რასთან დაკავშირებითაც ადვოკატმა ნ. გ.-მ მიმართა, რომ თავი შეეკავებინა მსგავსი განცხადებებისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართავდა ეთიკის კომისიას. რის შემდეგაც მ. ბ.-მ შეურაცხყოფა მიაყენა მ. თ.-ს შემდეგი ფრაზით: „ჩამოეთრევიან ეს ებრაელები და კანონს ამყრებენ აქ, ეს გათახსიერებულებიო“.

5. ადვოკატის პოზიცია:

5.1. 2018 წლის 15 ნოემბერს, ადვოკატმა მ. ბ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, ხოლო 2018 წლის 01 იანვარს ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

5.2. ადვოკატის განმარტებით, ის წარმოადგენს ი. ფ.-ს და მის მეუღლეს კახაბერ ქურციკიძეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე სასამართლო დავაში. 2016 წლის 9 სექტემბერს მ. თ.-ის მეუღლემ, გ. თ.-მ აღძრა სარჩელი ი. ფ.-ის წინააღმდეგ. მას შემდეგ რაც გ. თ.-მ დაინახა საკუთარი პოზიციის სისუსტე, სასამართლოში სარჩელი აღძრა მისმა მეუღლემ მ. თ.მ ი. ფ.-ისა და გ. თ.ს წინააღმდეგ.

5.3. ადვოკატის განმარტებით, საჩივარში მოყვანილი არცერთი ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამება. ადვოკატი ადასტურებს, რომ საჩივრის ავტორს პირველად შეხვდა პროცესზე, სადაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, დაგვიანებით შემოვიდა მ. თ. და აგრესიული ტონში განაცხადა: „მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს საქმე მოვიგო“.

5.4. ადვოკატის განმარტებით, მხარემ და მისმა წარმომადგენელმა, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ საქმე სასამართლოში მოიგოს, რაც გასაკვირი არაა. თავადაც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მარწმუნებლის საქმე მოიგოს და ამისთვის არ ზოგავს ენერგიას, კვალიფიციურობას, ცოდნას, ხშირად თავისი ხარჯებითაც ახორციელებდა გარკვეულ საპროცესო მოქმედებებს.

5.5. ადვოკატის განმარტებით, 2018 წლის 23 ოქტომბერს გამართულ სასამართლო პროცესზე მას შურაცხყოფა არ მიუყენებია საჩივრის ავტორისთვის. ადვოკატი აღნიშნავს, რომ გაუკვირდა პროცესზე მ. თ.-ისა და მისი ადვოკატის გამოჩენა, რადგან მანამდე ჩატარებულ სასამართლო სხდომებს მ. თ. და მისი წარმომადგენელი არ დასწრებიან. ადვოკატის განმარტებით, სხდომაზე მას და მ. თ.-ს ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ, გარდა რწმუნებასთან დაკავშირებული საკითხისა, მაშინ როდესაც გ. თ. არაერთხელ გააძევეს სასამართლო დარბაზიდან მ. ბ.-ის მიმართ შეურაცხყოფის ფაქტთან დაკავშირებით.

5.6. ადვოკატის განმარტავს, რომ 70 წლისაა, გარკვეული პერიოდი იყო მოსამართლე თიანეთის რაიონულ სასამართლოში. ძალიან კარგად იცის პროცესზე და მის გარეთ მოქცევის წესები და მის წინააღმდეგ არასდროს არ შესულა ეთიკის კომისიაში საჩივარი.

6. **ადვოკატის მოწმე დ. გ.-ის განმარტება:**

2019 წლის 18 თებერვალს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დ. გ.-მ განმარტა, რომ მ. ბ.-სთან ერთად იცავს ი. ფ.-ის ინტერესებს, ხოლო მ. თ. ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეზე არის მოსარჩელე. მოწმის განმარტებით, ის იმყოფებოდა ყველა სასამართლო პროცესზე, სადაც მ. თ. გამოდის ი. ფ.-ის წინააღმდეგ, მათ შორის 2018 წლის 23 ოქტომბერს, როგორც სასამართლო ისე წინამდებარე პერიოდში. მოწმის განმარტებით, მ. თ., გ. თ. და ადვოკატი ნ. გ. ყოველთვის აგრესიულად მოიხსენიებდნენ ადვოკატ მ. ბ.-ს, ხოლო თავად მ. ბ.-ს არანაირი შეურაცხყოფა არ მიუყენებია და არც უარყოფითად მოუხსენებია მათი ეროვნება.

7. **ადვოკატის მოწმე ი. ფ.-ის განმარტება:**

2019 წლის 18 თებერვალს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმე ი. ფ.-მ განმარტა, რომ მ. ბ. არის მისი წარმომადგენელი სასამართლოში. მოწმის განმარტებით, ის ესწრებოდა სასამართლოში გამართულ ყველა პროცესს და მ. ბ.-ს არცერთ პროცესზე მ. თ.-ისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია, პირიქთ მ. თ. აყენებდა შეურაცხყოფას მ. ბ.-ს.

8. **ადვოკატის მოწმე მ. ფ.-ის განმარტება:**

2019 წლის 18 თებერვალს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მ. ფ.მ განმარტა, რომ ი. ფ. არის მისი დედა და შესაბამისად იცნობს სასამართლოში მიმდინარე საქმეს და საქმის მასალებს. მოწმის განმარტებით, პირველი პროცესის გარდა ყველა პროცესს დაესწრო და მ. თ.-ის მიმართ მ. ბ.-ის მხრიდან შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

II სამოტივაციო ნაწილი

9. **ფორმალური წინაპირობების შემოწმება**

9.1. ადვოკატი მ. ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი #/ სპეციალიზაცია – საერთო.

9.2. მ. თ.მ ეთიკის კომისიას მომართა 2018 წლის 6 ნოემბერს.

9.3. სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

10. **შემაჯამებელი დასკვნა**

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ბ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

11. **სამართლებრივი შეფასება**

11.1. საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა მ. ბ.-მ სასამართლო სხდომის დარბაზში მას მიაყენა შეურაცხყოფა და მიმართა შემდეგი სიტყვებით: „ჩამოეთრევიან ეს ებრაელები და

წესრიგს გვიმყარებენ აქ...“; „...ჩამოდიან და აქ თავიანთი ზეგავლენით უნდათ წესრიგის დამყარება...“; „... ჩამოეთრევით და თქვენებური წესრიგი გინდათ შეიტანოთ...“.

11.2. ეთიკის კომისიამ ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ საჩივრის ავტორისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების პრეტენზიასთან დაკავშირებით იმსჯელა შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია: არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

„პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად ,,ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას“

11.3. ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის იმ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, პატივი სცეს პროცესის მონაწილე პირთა უფლებებს და არ დაუშვას მათი ხელყოფა. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება ადვოკატს ეკისრება არა მარტო სასამართლოში ან სასამართლოს ფუნქციის მატარებელ სხვა ორგანოში, არამედ იგი მოვალეა ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, მოთმინება, არ უპასუხოს მისი მისამართით გაკეთებულ პროვოკაციულ შეფასებებს და პატივი სცეს თავის საქმიანობას.

11.4. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინური საქმეზე #075/10 განმარტა, რომ ,,ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს. ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარეს“.

11.5. ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ საჩივრის ავტორისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს ადასტურებენ, საჩივრის ავტორის შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სახით გამოკითხული პირები - გ. თ. და გ. ფ., რომელთა განმარტებით ისინი იმყოფებოდნენ სასამართლოს დარბაზში, რა დროსაც ადვოკატმა მ. ბ.-მ შეურაცხმყოფელი ფრაზებით მიმართა მ. თ.-ს.

11.6. ადვოკატი, მ. ბ. უარყოფს შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს და ასევე აღნიშნავს, რომ მას არასდროს გაუმახვილებია ყურადღება საჩივრის ავტორის ეროვნებაზე. ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სახით გამოიკითხნენ ადვოკატი დ. გ., ი. ფ. და მ. ფ..

ადვოკატი დ. გ.-ისა და ი. ფ.-ის განმარტებით, იმყოფებოდნენ სადაო საქმესთან დაკავშირებით გამართულ ყველა პროცესზე, სადაც მათი განმარტებით მ. ბ.-ის მხრიდან არანაირ შეურაცხყოფისა თუ ეროვნებაზე ყურადღების გამახვილების ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მოწმე მ. ფ.-ის განმარტებით ის დაესწრო სასამარლოში გამართულ ყველა პროცესს, პირველი პროცესის გარდა. მ. ბ.-ს მ. თ.-ისთვის შეურაცხმყოფელი სიტყვებით არასდროს მიუმართავს.

11.7. ეთიკის კომისია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ №2ბ/183-11 საქმეზე 2011 წლის 28 ივნისს მიღებულ განჩინებაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ „კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტიცებს.“ შესაბამისად, მომჩივანი მხარის სამართლებრივ მოვალეობას წარმოადგენს ამტკიცოს და დაასაბუთოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა შესახებაც საჩივარში უთითებს.

11.8. 2018 წლის 14 დეკემბერს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დაკმაყოფილდა საჩივრის ავტორის შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოდან სასამართლოს სხდომის დარბაზში არსებული ვიდეოკამერის ჩანაწერის გამოთხოვის თაობაზე. აღნიშნული შუამდგომლობის დაზუსტების მიზნით, 2018 წლის 17 დეკემბერს საჩივრის ავტორმა წარმოადგინა განცხადება, სადაც კონკრეტულად მიუთითა სხდომის დარბაზი და დროის მონაკვეთი, რა დროსაც, მისი თქმით, შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს ჰქონდა ადგილი. დაკმაყოფილებული შუამდგომლობის საფუძველზე, ვიდოჩანაწერის გადმოგზავნის მოთხოვნით ეთიკის კომისიამ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. 2019 წლის 08 იანვრის, თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილობით პასუხში აღნიშნულია, რომ სასამართლოს შენობაში განთავსებული სამეთვალყურეო კამერებით ჩაწერა ხორციელდება წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შესაბამისად ეთიკის კომისიის მიერ მოთხოვნილი ვიდეო გადაღების ჩანაწერი არ წარმოადგენს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობითა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მასალას, რის საფუძველზეც სასამართლომ უარი განაცხადა განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

11.9. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა და მათი მოწმეების პოზიციები ურთიერთსაწინააღმდეგოა, რაც არ ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. ხოლო, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა საჩივრის ავტორის პრეტენზიებს.

11.10. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია დადგენილად ვერ მიიჩნევს ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ მ. თ.-ისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატ მ. ბ.-ის პროფესიულ ქცევაში არ გამოიკვეთა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა და „ადვოკატთა შესახებ“ კანონის ნორმების დარღვევა, შესაბამისად წარმოდგენილი საჩივარი არ იძლევა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური

წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით, 31-ე მუხლით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №157/18 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ მ. ბ.-ის /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრუა/